საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება

თბილისი, 2026 წლის 4 მაისი

№135/7-XIმპ

არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ინიციატივით კანონპროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით შექმნილი საქართველოს მოქალაქეების საინიციატივო ჯგუფის (აკაკი ჩიქობავა, ანა კამლაძე, გიორგი ქართველიშვილი, გიორგი ხასაია, ეკატერინე დანელია, ვახტანგ ნაცვლიშვილი, თათია ვერულაშვილი, ინა ჩარკვიანი, კონსტანტინე ჩაჩიბაია) რეგისტრაციის შესახებ განცხადების თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 123-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ინიციატივით „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით შექმნილი საქართველოს მოქალაქეების საინიციატივო ჯგუფის (აკაკი ჩიქობავა, ანა კამლაძე, გიორგი ქართველიშვილი, გიორგი ხასაია, ეკატერინე დანელია, ვახტანგ ნაცვლიშვილი, თათია ვერულაშვილი, ინა ჩარკვიანი, კონსტანტინე ჩაჩიბაია) განცხადება და თანდართული მასალები (№1-4038/26; 01.05.2026) გადაეცეს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტს.
2. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა 5 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.
3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ვოლსკი